

## ქობულეთის მუნიციპალიტეტი



ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-2 ეტაპი რეზერვუარისა და შიდა მაგისტრალის) მოწყობის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

### სატენდერო დოკუმენტაცია

(CPV 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები)

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურების ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად. (იხ. <http://procurement.gov.ge/>)

## **სატენდერო დოკუმენტაცია**

### **1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის**

**1.1** სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

**1.2** ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**1.3** დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

**1.4** სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

**1.5** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

**1.6** პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

**1.7** შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს შესყიდვის განხორციელება, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

### **2. ტექნიკური დოკუმენტაცია**

#### **2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები:**

**2.1.1** სამშენებლო ობიექტის სავარაუდო ღირებულება, პროექტის აღწერილობა: სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **1 795 800** (ერთიმილიონ შვიდასოთხმოცდათხუთმეტიათას რვაასი) ლარს. შესყიდვის ობიექტია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-2 ეტაპი რეზერვუარისა და შიდა მაგისტრალის) მოწყობის სამუშაოები;

**2.1.2** მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალის ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს შესაბამისობის დადგენის მიზნით, სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

**შენიშვნა: მასალების გამოყენება ობიექტზე მოხდება ტექნიკური ზედამხედველის მიერ წინასწარ დამტკიცებული მასალების განაცხადის ფორმის - დანართი №4 საფუძველზე. ტექნიკური ზედამხედველის მიერ მასალის დაწინაურების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება მშენებლობაში დაუშვებელია.**

**2.1.3** სამუშაოების სრული ჩამონათვალი და მოცულობა იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის სახით.

**2.1.4** სპეციფიკაციები და ნახაზები (არსებობის შემთხვევაში) ატვირთული იქნება სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციის დამატებების სახით.

**2.1.5** სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით.

**2.1.6** სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას პრეტენდენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვაში გაანგარიშებული უნდა იყოს „გაუთვალისწინებული ხარჯები“ (ხარჯთაღრიცხვაში „გაუთვალისწინებელი ხარჯები“-ს გრაფის არსებობის შემთხვევაში).

2.1.7 თუკი, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა, სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის დააფიქსირა 20% და მეტი სხვაობა (რაც გულისხმობს პროექტით გათვალისწინებული მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრად განსხვავებული ღირებულების წარმოდგენას), ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებული იქნება დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მასალებისა და მოწყობილობების მიწოდების შესაძლებლობა. სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ჩატარება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ან სხვა აკრედიტებული პირთან. აღნიშნული დასაბუთების და/ან ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.1.8 პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის იმ ნაწილში სადაც მოცემული იქნება შესასყიდი მასალებისა და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

## 2.2 სამუშაოს მიწოდების ვადები და პირობები

2.2.1 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან არაუმეტეს 05 კალენდარული დღის ვადაში და დაასრულოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან 270 (ორსამოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

2.2.2 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია სამუშაოებს ასრულებს ეტაპობრივად.

➤ **„ეტაპი“- იგულისხმება 30 კალენდარული დღე. ეტაპის სამუშაოების შესრულების წარმოდგენა განისაზღვრება შემდეგნაირად:**

- *I ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*
- *II ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 5% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*
- *III ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*
- *IV ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*
- *V ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*
- *VI ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*
- *VII ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*
- *VIII ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 20% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*
- *IX ეტაპი - დარჩენილი სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.*

➤ *მიმწოდებელი ვალდებულია 30 კალენდარული დღის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ფორმა N2)*

2.2.3 ეტაპების მიხედვით შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3 და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

2.2.6 საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დადასტურდება: 1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე 2. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა 3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ან სხვა აკრედიტებული პირთან მიმართვა შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით:

„წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა N2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ:

1. ფორმა N2-ით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების სიზუსტე;
2. ფორმა N2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში;
3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი“.

3.1 შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი უნდა შეადგენდეს 5 წელს დაწყებული სამუშაოების დამთავრებიდან.

### **2.3 ანგარიშსწორების პირობები:**

**2.3.1** სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

**2.3.2** ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

**2.3.3** ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპით სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებზე ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდეს მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ წინსწრებით სრულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობის ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

**შენიშვნა: კონკრეტული ეტაპით წინსწრებით შესრულებული სამუშაოები ჩაითვლება მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებში.**

**2.3.4** საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორება განხორციელდება იმ დოკუმენტის (ფორმა №2 და/ან ექსპერტის დასკვნა) მიხედვით, რომელშიც უფრო ნაკლები ღირებულება იქნება დაფიქსირებული.

**2.3.5** ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყოფილი თანხა გამოიყენება მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

**2.3.6** მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, საბანკო გარანტიის (გაცემული საქართველოში რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირის (ბანკის) მიერ) წარმოდგენის საფუძველზე, ავანსის სახით მიმწოდებელს ჩაურიცხოს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს დასრულების ვადას.

**2.3.7.** შემსყიდველის მიერ ავანსად გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებიდან 50%-ის ოდენობით, ყოველ წარმოდგენილ შესრულებაზე, გარდა ბოლო ეტაპისა. ბოლო ეტაპის ანგარიშსწორებისას განხორციელდება დარჩენილი ავანსის ღირებულების სრულად დაქვითვა.

**2.3.8.** ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

**2.3.9** მიმწოდებლის მიერ გონივრულ ვადაში ექსპერტიზის დასკვნის არ წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი დასაბუთების საფუძველზე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას თვითონ უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის ხარჯები გასწიოს მიმწოდებლისთვის საბოლოო ანგარიშსწორებისთვის გათვალისწინებული სახსრებიდან.

### **2.4 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია**

**2.4.1** ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი №5-ის მიხედვით და გაცემული უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკის მიერ.

**შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.**

**2.4.2** ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების სავარაუდო ვადას (60 კალენდარული დღის გადათვლა უნდა განხორციელდეს არანაკლებ ხელშეკრულებაზე მოწვევის ვადას დამატებული სამუშაოების შესრულების ვადიდან)..

**2.4.3** ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

## **2.5 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

### **2.5.1 იურიდიული პირებისათვის:**

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ბ) ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

### **2.5.2 ფიზიკური პირებისათვის:**

- ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ბ) ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- გ) პირადობის მოწმობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

**2.6** ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (სტატუსი - სატენდერო წინადადებების მიღება დაწყებული) დაწყების შემდეგ;

**2.7** ამ პუნქტის 2.5.1 და 2.5.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-7; მე-8 და მე-9 ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

## **2.8. დამატებითი მოთხოვნები**

**2.8.1** სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

**2.8.2** პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

**2.8.3** სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

**2.8.4** სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

## **2.9. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტებია:**

**2.9.1** პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი №2-ის მიხედვით;

**2.9.2** განფასებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის მიხედვით, Excel-ის ფაილში. პრეტენდენტის მიერ დანართი №1-ის წარმოუდგენლობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას;

**2.9.3** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2013 წლის 08 დეკემბრიდან 2016 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ სასმელი წყლის სისტემების მოწყობის ან/და საკანალიზაციო სისტემების მოწყობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 3 591 600 (სამიმილიონ ხუთასოთხმოცდათერთმეტიას ექვსასი) ლარის ოდენობით, რაზეც სისტემაში ატვირთული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები, სამუშაოს შესრულების აქტი, ან/და სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და სამუშაოს გაწვევის დამადასტურებელი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N3 შესაბამისად.

**შენიშვნა:** თუ პრეტენდენტს შესრულებული აქვს სამუშაოები როგორც ქვეკონტრაქტორს ასეთ შემთხვევაში შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტად აუცილებელია წარმოდგენილი იქნას საგადასახადო ანგარიშფაქტურები.

**2.9.4** ტენდემი მონაწილე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 01 (ერთი) დადებითი რეკომენდაცია იმ შესყიდვის ფარგლებში განხორციელებულ მიწოდებაზე, რომელიც მითითებული აქვს მის მიერ განხორციელებულ ბოლო მიწოდებად (ბოლო მიწოდებად ჩაითვლება წარმოდგენილი ანალოგიური სამუშაოებიდან ბოლოს განხორციელებული სამუშაოები). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება თუ ბოლო მიწოდება განხორციელებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

**2.9.5** სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში);

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ავტომატურად ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

### **3. დამატებითი ინფორმაცია**

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N141, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული. საკონტაქტო პირი: დავით ვერულიძე +995 598 32 32 97

#### 4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

\_\_\_\_\_ 201\_წ

ქ. ქობულეთი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ეგენიძის სახით და მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი \_\_\_\_\_ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტი და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (NAT-----) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-2 ეტაპი რეზერვუარისა და შიდა მაგისტრალის) მოწყობის სამუშაოები (შემდგომში სამუშაო) (CPV 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები).

1.2 შესასრულებელი სამუშაოების ზუსტი დასახელება, ტექნიკური მახასიათებლების სრული აღწერილობა (სპეციფიკაცია), ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართების მიხედვით.

1.3 მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-2 ეტაპი რეზერვუარისა და შიდა მაგისტრალის) მოწყობის სამუშაოები შეასრულოს \_\_\_\_\_ ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

#### 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.

2.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს, დაწუნებული სამუშაოების ან/და მისი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

2.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.4. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

#### შენიშვნა:

ა) მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალის ხარისხის, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს შესაბამისი სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ ექნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისათვის მისაღები მასალა, მოწყობილობა და სამუშაო.

ბ) მასალების გამოყენება ობიექტზე მოხდება ტექნიკური ზედამხედველის მიერ წინასწარ დამტკიცებული მასალების განაცხადის ფორმის - დანართი №4 საფუძველზე. ტექნიკური ზედამხედველის მიერ მასალის დაწუნების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება მშენებლობაში დაუშვებელია.

2.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესაბამისად უფლებამოსილი პირები.

### 3.სამუშაოს შესრულების პირობები

3.1.სამუშაოების შესრულება განხორციელდება ეტაპობრივად;

შენიშვნა:

➤ „ეტაპი“- იგულისხმება 30 კალენდარული დღე. ეტაპის სამუშაოების შესრულების წარმოდგენა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- I ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- II ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 5% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- III ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- IV ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- V ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- VI ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- VII ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 10% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- VIII ეტაპი - არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 20% სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- IX ეტაპი - დარჩენილი სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.

➤ მიმწოდებელი ვალდებულია 30 კალენდარული დღის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ფორმა N2)

3.2.მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დაიწყოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან არაუმეტეს 5 დღის განმავლობაში. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვროს 270 (ორსამოცდაათი) დღე მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან.

### 4.თანმდევრი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, 10 კალენდარული დღის ვადაში, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაანთავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

### 5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი (დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის)

5.1. სამუშაოს ეტაპის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა N2, ფორმა N3 და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

5.2 საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დადასტურდება: 1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე 2. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა 3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირს მიმართვა შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით:

„წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა N2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ:

1. ფორმა N2-ით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების სიზუსტე;
2. ფორმა N2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში;
3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი“.



5.3 შესყიდვის ობიექტის მიღებას ახორციელებს კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.4 სამუშაოს ეტაპების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შესაბამისად უფლებამოსილი პირები.

## **6. გარანტია**

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 05 (ხუთი) წელს დაწყებული სამუშაოების დამთავრებიდან;

6.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

6.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

## **7. ანგარიშსწორება**

7.1 საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპით სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებზე ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდეს მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ წინსწრებით სრულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობა ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

**შენიშვნა: კონკრეტული ეტაპით წინსწრებით შესრულებული სამუშაოები ჩაითვლება მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებში.**

7.4 საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორება განხორციელდება იმ დოკუმენტის (ფორმა №2 და/ან ექსპერტის დასკვნა) მიხედვით, რომელშიც უფრო ნაკლები ღირებულება იქნება დაფიქსირებული.

7.5 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყოფილი თანხა გამოიყენება მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

7.6 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, საბანკო გარანტიის (გაცემული საქართველოში რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირის (ბანკის) მიერ) წარმოდგენის საფუძველზე, ავანსის სახით მიმწოდებელს ჩაურიცხოს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას

7.7. შემსყიდველის მიერ ავანსად გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებიდან 50%-ის ოდენობით, ყოველ წარმოდგენილ შესრულებაზე. იმ შემთხვევაში თუ საბოლოო ანგარიშსწორების დროს ჩასარიცხი თანხის დასაქვითი 50% ვერ ავსებს ავანსად გადახდილ თანხას, მიმწოდებელს ჩაერიცხება ჩასარიცხ თანხასა და დარჩენილ ავანს შორის სხვაობით მიღებული თანხა.

7.8. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

7.9 მიმწოდებლის მიერ გონივრულ ვადაში ექსპერტიზის დასკვნის არ წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი დასაბუთების საფუძველზე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას თვითონ უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის ხარჯები გასწიოს მიმწოდებლისთვის საბოლოო ანგარიშსწორებისთვის გათვალისწინებული სახსრებიდან.

## 8. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

10.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

10.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

10.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

10.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

10.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

10.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

10.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

10.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

10.4.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების პირობების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;

10.4.3. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის კოორდინატორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან/და სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ.

10.4.4. აწარმოოს სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გამოცდები და ფარული სამუშაოების აქტები;

10.4.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

10.4.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

10.4.7. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

10.4.8. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

10.4.9. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

10.4.10. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, რაიმე წუხის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუხი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

10.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

10.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების 7.2, 7.3, და 7.4 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს ვადაგადაცილებული თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.3. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები:

11.3.1 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ყოველი ეტაპის შესრულების ვადას გადააცილებს შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეტაპის შეუსრულებელი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.3.2. იმ შემთხვევაში თუ 11.3.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს ეტაპის შეუსრულებელი ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.3.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი სამუშაოებს არ დაიწყებს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში, აღნიშნული დღეების გასვლის შემდეგ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ არ დაწყებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.3.4. იმ შემთხვევაში თუ 11.3.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3.5. მიმწოდებელს სამუშაოების უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გაეზავნება წერილობითი გაფრთხილება. შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, არსებული ხარვეზ(ებ)ის აღმოფხვრელობის ან/და შემდგომ განმეორების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით. ასევე მიმწოდებლის მიერ მითითებული ხარვეზის აღმოფხვრელობის და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4. ხელშეკრულების 11.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფი საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტი) და გამოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

11.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

11.5.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

11.5.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 11.5.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

11.5.3. ხელშეკრულების 11.5.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11.6. როგორც შემსყიდველისათვის, ისე მიმწოდებლისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც ექსპერტს დაჭირდება დასკვნის (ცნობის) გასაცემად.

## 12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას.

12.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

12.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

12.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 201-- წლის -----, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## 15. „შემსყიდველი“ –ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „შემსყიდველი“ –ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;

15.2 „შემსყიდველი“ –ს საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;

15.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

სატენდერო წინადადების ფასი და რეკვიზიტები

\_\_\_\_\_ სატენდერო წინადადების ფასი \_\_\_\_\_ ( \_\_\_\_\_ ) ლარად.  
(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს მაღალხარისხოვნად. მოწოდებული მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და წინასწარ შეთანხმდეს შემსყიდველთან.

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 📠 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

„—“ „—————“ 2016 წელი  
(შევსების თარიღი)

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	შესრულებული სამუშაოების ღირებულება	მათ შორის ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების ღირებულება
1				
2				
	სულ ჯამი 2013			
1				
2				
	სულ ჯამი 2014			
1				
2				
	სულ ჯამი 2015			
1				
2				
	სულ ჯამი 2016			

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_ ბ.ა.

მასალების განაცხადის ფორმა

პროექტის სახელი		დოკ № :	
კონტრაქტის №		მოცულობა	
შემსყიდველი		თარიღი	
ტექნიკური ზედამხედველი		ასლები	
პროექტის ავტორი		-დან	
შემსრულებელი		-მდე	

ტექნიკურ ზედამხედველს	
გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა შემდეგ მასალებზე	
მასალის დასახელება აღწერა	
გამოყენების სფერო:	
ნახაზი:	ხარჯთაღრიცხვაში სამუშაოთა განფასების #
სპეციფიკაცია:	
დანართები:	
თან დაურთეთ ყველა სათანადო ტექნიკური ინფორმაცია (დოკუმენტაციის სახით), სადაც მოცემულია აღწერილობა, სერთიფიკატები ან ნიმუშები გამოცდის ტესტირების საჭიროებისამებრ	
მწარმოებელი	
კომპანიის სახელი:	
მისამართი:	
ადგილობრივი შუამავალი:	
ჩამოტანა:	
რომელი ქვეყნიდან:	
ვარგისიანობა:	
ჩამოტანის პროგრამა (ტრანსპორტირების სახე):	
სულ შესრულებისთვის საჭირო დრო/ხანგრძლივობა:	
ობიექტზე შემოტანის სავარაუდო დრო:	
ვადასტურებთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები დეტალურად იქნა შესწავლილი. ვადასტურებთ, რომ სწორია და შეესაბამება ხელშეკრულების ნახაზებს და ტექნიკურ მახასიათებლებს-სპეციფიკაციებს. ასევე მასალების მოპოვების წყარო დეტალურად იქნა შესწავლილი და მათი შემოტანა მოხდება განსაზღვრულ ვადებში	
შემსრულებლის სახელი _____	ხელმოწერა _____ თარიღი _____

ტექნიკური ზედამხედველის შენიშვნები პირველივე შემოტანისას
_____
_____

დამტკიცდა

- გადაცემულია მიღებაზე     მიღებაზე გადაცემა უარყოფილია     ხელახლა შემოწმება-გადასინჯვა  
 დაწუნებული, ხელახლა მოხდეს შემოტანა     მიღება დასტურდება

შემსრულებლისათვის:

გიბრუნებთ განაცხადის ფორმას, მასალების დამტკიცება არ ათავისუფლებს შემსრულებელს სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან და პასუხისმგებლობისაგან და ის არ გულისხმობს კონტრაქტის ვადების/ფასის რაიმე შეცვლას

ტექნიკური ზედამხედველი

სახელი \_\_\_\_\_ ხელმოწერა \_\_\_\_\_ თარიღი \_\_\_\_\_

მიიღო შემსრულებელმა \_\_\_\_\_ ხელმოწერა \_\_\_\_\_ თარიღი \_\_\_\_\_



ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანტია)

ვის: \_\_\_\_\_  
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ \_\_\_\_\_  
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ \_\_\_\_\_ ტენდერში წარდგენილი თავისი  
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.  
ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

\_\_\_\_\_ (თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.  
წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

\_\_\_\_\_ გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

\_\_\_\_\_ (თარიღი)

\_\_\_\_\_ (მისამართი)